

## 1. ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის გზამკვლევი

### I თავი

#### ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ განმარტავს ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით სასწავლო პროცესში გამოყენებულ ტერმინებს:

ა) **ავტორიზაცია** – კოლეჯის სტატუსის მოპოვების პროცედურა, რომლის მიზანია სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისთვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა;

ბ) **არაფორმალური განათლება** – მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის ნაწილი, რომელიც გულისხმობს ფორმალური განათლების მიღმა „ცოდნისა და გაცნობიერების“, „უნარის“ ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ შექმნას;

გ) **ასოცირებული ხარისხი** – კვალიფიკაცია, რომელიც პირს ენიჭება მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებისა და კრედიტების შესაბამისი რაოდენობის დაგროვების შედეგად;

დ) **დიპლომი** – უფლებამოსილი დაწესებულების მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) **დიპლომის დანართი/სერტიფიკატის დანართი** – დოკუმენტი, რომელსაც დიპლომთან/სერტიფიკატთან ერთად გაცემს საგანმანათლებლო დაწესებულება პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული განათლების შინაარსის დასადასტურებლად;

ვ) **ინდივიდუალური სასწავლო გეგმა** – შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის) საჭიროებისთვის მორგებული სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას/პროფესიული მომზადების პროგრამას/პროფესიული გადამზადების პროგრამას/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს;

ზ) **ინკლუზიური პროფესიული განათლება** – თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი, რომლის ფარგლებშიც ყველა პროფესიული სტუდენტისა და მსმენელისათვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება;

თ) **კვალიფიკაცია** – უფლებამოსილი დაწესებულების/დაწესებულებების მიერ სწავლის შედეგის მიღწევის შეფასებისა და დადასტურების ფორმალური შედეგი, რომელიც დასტურდება სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატით, უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით – დიპლომით ან ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით;

ი) **კომპეტენცია** – სწავლის შედეგების შესაბამის კონტექსტში (სწავლის ან საქმიანობის პროცესში, პიროვნული და პროფესიული განვითარებისათვის) ადეკვატურად გამოყენების შესაძლებლობა;

კ) **კრედიტი** – ერთეული, რომელიც მოიცავს დადასტურებული სწავლის შედეგების ერთობლიობას, რომელიც შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იქნეს აღიარებული ერთი ან რამდენიმე კვალიფიკაციის მისაღებად;

ლ) **მოდული** – პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ფარგლებში არსებული ან დამოუკიდებლად შემუშავებული კომპონენტი, რომელიც აერთიანებს ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ სწავლის შედეგებს, აღწერს მათი მიღწევის გზებს, საშუალებებსა და დადასტურების პირობებს;

მ) **მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა** – ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 დონისათვის განსაზღვრული განზოგადებული სწავლის შედეგების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის შექმნის საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი და რომელიც უკავშირდება ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას ან ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონისათვის განსაზღვრული განზოგადებული სწავლის შედეგების შესაბამის იმ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც აგრეთვე გადის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებზე;

ნ) **მსმენელი** – პირი, რომელიც სწავლობს პროფესიული მომზადების პროგრამაზე, პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ან/და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამაზე;

ო) **პროფესიის სტანდარტი** – კონკრეტულ პროფესიასთან დაკავშირებული ამოცანებისა და მოვალეობების ერთობლიობა;

პ) **პროფესიული განათლება** – განათლება, რომელიც უზრუნველყოფს პირისთვის იმ კომპეტენციის/კომპეტენციების გამომუშავებას, რომელსაც/რომლებსაც მოითხოვს კონკრეტული პროფესია ან/და შრომის ბაზარი და რომელიც/რომლებიც მიმართულია მთელი სიცოცხლის განმავლობაში პირის პროფესიული, სოციალური და პიროვნული განვითარებისკენ;

ჟ) **პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი** – დიპლომი, სერტიფიკატი;

რ) **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი** – იურიდიული პირი, რომელიც უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული მომზადების პროგრამები, პროფესიული გადამზადების პროგრამები და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამები;

ს) **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა** – სასწავლო მიზნების, სწავლის შედეგების, მოდულის/მოდულების, შესაბამისი კრედიტების, სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3/მე-4/მე-5 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებითა და დიპლომის გაცემით;

ტ) **პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი** – დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები, შესაბამისი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების მისანიჭებლად საჭირო კრედიტების რაოდენობა, მისაღწევი სწავლის შედეგები, იმ მოდულების ერთობლიობა, რომელთა განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა აუცილებელია კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების მისანიჭებლად, შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე/საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების და ამ პროგრამის/პროგრამების განხორციელების წინაპირობები, დასაქმების სფეროები და საგანმანათლებლო პროგრამის/საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული მოთხოვნები (მათი არსებობის შემთხვევაში);

უ) **პროფესიული სტუდენტი** – პირი, რომელიც სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე;

ფ) **პროფესიული სტუდენტის მობილობა** – პროფესიული სტუდენტის თავისუფალი გადაადგილება სწავლის პროცესში მონაწილეობის მისაღებად, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, რასაც თან სდევს სწავლის პერიოდში მიღებული განათლების, კრედიტების ან კვალიფიკაციის აღიარება;

ქ) **რეგულირებადი პროფესია** – საქმიანობა, რომლის განხორციელების წინაპირობაა შესაბამისი კვალიფიკაციის ქონა ან/და სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და რომლის განსახორციელებლად მოთხოვნილი კვალიფიკაციის მინიჭებისთვის აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი გამოცდის ჩაბარება ან/და პერიოდული პროფესიული გადამზადება;

ღ) **საგანმანათლებლო დაწესებულება** – საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მქონე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, ნებისმიერი სახის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამისა და პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მქონე კოლეჯი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება;

ყ) **სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება** – პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების ფორმა, რომელიც ითვალისწინებს ამ პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი სწავლის შედეგის იმიტირებულ სამუშაო გარემოში ან/და რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას (მათ შორის, დუალური სწავლებით);

შ) **სასწავლო საწარმო** – პირი, რომელმაც მოიპოვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების უფლება;

ჩ) **სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამა/სახელმწიფო ენაში მომზადების მოდული** – საგანმანათლებლო პროგრამა/მოდული, რომლის მიზანია სახელმწიფო ენის სწავლება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის დაძლევის მიზნებისთვის ან/და იმ პირთა სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის, რომელთათვისაც ქართული ენა მშობლიური არ არის;

ც) **სერტიფიკატი** – უფლებამოსილი დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირის მიერ პროფესიული მომზადების პროგრამით ან პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგის, აგრეთვე ცალკეული მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევას;

ძ) **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი** – პირი, რომელსაც გამოხატული აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები ან/და შეზღუდული შესაძლებლობა და რომელიც საჭიროებს სასწავლო პროცესის ადაპტაციას, რაც გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის მოდიფიკაციას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას, სასწავლო გარემოსა და პირობების შეცვლას ან/და დამატებით სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას;

წ) **სწავლის შედეგი** – განაცხადი პირის მიერ მისაღწევი „ცოდნისა და გაცნობიერების“ (სწავლის ან საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის, ფაქტების, პრინციპების, თეორიების, თეორიული და პრაქტიკული მეთოდების ასიმილაციის შედეგი), „უნარის“ (კონკრეტული დავალების შესრულებისა და პრობლემების გადაჭრისათვის შესაბამისი ცოდნის გამოყენების შესაძლებლობა) ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ (ღირებულებებითა და დამოუკიდებლობის შესაბამისი ხარისხით პირის მიერ ცოდნისა და უნარების გამოყენება) შესახებ;

ჭ) **ფორმალურ განათლებაში პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სისტემა** – ღონისძიებათა ფართო სპექტრი, რომელიც პირს ეხმარება, ფორმალური განათლების მიღების ნებისმიერ ეტაპზე განსაზღვროს საკუთარი შესაძლებლობა, კომპეტენცია და ინტერესი განათლებასთან და პროფესიის არჩევასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მისაღებად და მართოს საკუთარი კარიერა;

ხ) **ფორმალური განათლება** – მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის ნაწილი, რომელიც გულისხმობს „ცოდნისა და გაცნობიერების“, „უნარის“ ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ შეძენას და აღნიშნულის სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატით, უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით – დიპლომით ან ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით დადასტურებას

## II თავი

### პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

პროფესიული განათლება ხორციელდება:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით, რომლის სახეებია:
    - 1.1. **საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა**, რომელიც სრულდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით;
    - 1.2. **საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა**, რომელიც სრულდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-4 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით;
    - 1.3. **უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა**, რომელიც სრულდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით;
  2. **პროფესიული მომზადების პროგრამით**, რომელიც პირს ამზადებს პროფესიასთან დაკავშირებული ცალკეული ამოცანებისა და მოვალეობების შესასრულებლად. პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს;
  3. **პროფესიული გადამზადების პროგრამით**, რომლის მიზანია კომპეტენციების შეძენა ან/და განვითარება იმავე სფეროში პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად. პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს.
- ბსუ-ში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრული ჩამონათვალი განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე ( ვებგვერდის ველი „საგანმანათლებლო პროგრამები“ - <https://bsu.edu.ge/sub-54/news/index.html>).

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის პროცედურებს არეგულირებს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის N 06-01/07 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი“.

### III თავი

#### სასწავლო პროცესი

„ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების პროცედურებს, პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კვალიფიკაციის მინიჭების, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის განრიგი განისაზღვრება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, სადაც მიეთითება თეორიული/პრაქტიკული მეცადინეობების, საწარმოო პრაქტიკის დაწყების/დასრულების და კვალიფიკაციის მინიჭების თარიღები.

მეცადინეობები ტარდება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმის საფუძველზე შედგენილი მეცადინეობების სასწავლო ცხრილების შესაბამისად. ცხრილი სწავლის დაწყებისთანავე განთავსდება ცენტრის საინფორმაციო დაფებზე და ბსუ-ს ვებგვერდზე.

პროფესიულ სტუდენტთა მეცადინეობები ტარდება ყოველდღე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით. საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ასევე შაბათი, როგორც სასწავლო დღე. პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესი შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ცვლაში ან გრაფიკით.

#### ინკლუზიური სასწავლო გარემო

სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილი ინტეგრირება ხორციელდება ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების, სსსმ პირის გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირისა და კვალიფიციური პედაგოგების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას.

სსსმ სტუდენტისთვის უნივერსიტეტი შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე მასწავლებელი უფლებამოსილი ხდება სასწავლო პროცესის ფარგლებში: მიმართოს სწავლების განსხვავებულ ხერხებსა და სტრატეგიებს; შეარჩიოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდები; სტუდენტისთვის დაადგინოს საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემა; განსაზღვროს, შეცვალოს და გამოიყენოს

სტუდენტისთვის ოპტიმალური სასწავლო გარემო; საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა; გამოიყენოს საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალა და ნედლეული; შეცვალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა.

## IV თავი

### სწავლის შედეგები და შეფასება

ბსუ-ს სასწავლო პროცესში პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგის შეფასების რეგულაცია მოცემულია „**ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში**“.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში გამოიყენება კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება, რაც გულისხმობს შესაფასებელი პირის მიერ ცოდნის ფლობისა და უნარების გამოყენების შესაძლებლობის (კომპეტენციის) შეფასებას, მოდულით წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.

მოდულის შესაბამისი კრედიტის მისაღებად დადებითად უნდა შეფასდეს მოდულით მისაღწევი ყველა სწავლის შედეგი.

სწავლის შედეგი მიღწეულად ითვლება, თუ შესაფასებელი პირი დადებითად შეფასდა შეფასების ყველა კრიტერიუმის მიხედვით. სწავლის შედეგის მიღწევა ერთი პროგრამის ფარგლებში დასტურდება მხოლოდ ერთხელ. შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში გამოიყენება შემდეგი ორის სახის შეფასება:

ა) **განმავითარებელი შეფასება** - მოდულის განმახორციელებელი პირის (პროფესიული განათლების მასწავლებელი) გადაწყვეტილებით შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. მოდულის განმახორციელებელი ვალდებულია განმავითარებელი შეფასების პრინციპის შესახებ წინასწარ მიაწოდოს ინფორმაცია სტუდენტებს;

ბ) **განმსაზღვრელი შეფასება** - ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას: 1. სწავლის შედეგი დადასტურდა; ან 2. სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთჯერ, მათ შორის მოდულის მიმდინარეობის პროცესში.

სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ვადებში უნდა დადასტურდეს წინმსწრები მოდულის დაუდასტურებელი სწავლის შედეგი/შედეგები. აღნიშნულის არ/ვერ დადასტურება ითვლება სტუდენტის მიერ მოდულის კრედიტების აუთვისებლობად და მას არ აქვს მომდევნო მოდულზე სწავლის, შესაბამისად, პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია წერილობითი ფორმით მიმართოს ცენტრს და მოითხოვოს განმეორებითი შეფასების გადავადება, სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე, სხვა შემთხვევაში, განმეორებით/დამატებით შეფასებაზე პროფესიული სტუდენტის გამოუცხადებლობა ითვლება სწავლის შედეგის მიუღწევლობად. ცენტრის დირექტორი, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელთან შეთანხმებით, ნიშნავს განმეორებითი/დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების თარიღს.

შეზღუდული შესაძლებლობისა და სსსმ პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის /წინაპირობების დაძლევის გარეშე.

ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, სტუდენტის/სტუდენტების მიერ მოდულის წინმსწრები მოდულის შედეგების ვერ დადასტურების შემთხვევაში, როცა ვერ ხერხდება განმეორებითი შეფასების ორგანიზება, ცენტრი უფლებამოსილია ბსუ-ს რექტორის შესაბამისი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე ერთი კვირით გადაავადოს მომდევნო მოდულის სწავლების დაწყება სასწავლო პროცესის სხვა მოდულის საათებით დარეგულირების ხარჯზე.

შესაძლებელია: ა) სწავლის შედეგების შეფასება ჩატარდეს ყოველი სწავლის შედეგის ბოლოს; ბ) რამდენიმე სწავლის შედეგი ერთდროულად შეფასდეს.

შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

პროფესიულ სტუდენტს ინფორმაცია შეფასების თაობაზე მიეწოდება **მაქსიმუმ 3 სამუშაო დღის ვადაში**.

პროფესიული სტუდენტი უფლებამოსია გაასაჩივროს შეფასება (აპელაცია). ასეთ შემთხვევაში შედეგის გაცნობიდან მაქსიმუმ **3 სამუშაო დღის ვადაში** პროფესიულმა სტუდენტმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ცენტრის დირექტორს, რომელიც არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა იღებს გადაწყვეტილებას შედეგის კომისიური წესით განხილვა/განუხილველობის თაობაზე (სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში შედიან: ცენტრის დირექტორი, ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, პრაქტიკის ინსტრუქტორი და პროფესიული განათლების მასწავლებელი).

კომისია 2 სამუშაო დღეში განიხილავს პროფესიული სტუდენტის შეფასების საკითხს და შესაძლოა დაინიშნოს განმეორებითი შეფასება. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება 2 სამუშაო დღეში ეცნობება პროფესიულ სტუდენტს. განმეორებითი შეფასებისას პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია შეცვალოს სწავლის შედეგის დადასტურების თემატიკა/ტესტი/საკითხები.

## V თავი

### პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება და აღდგენა

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველებია:

- ა) პირადი განცხადება მიზეზის მითითებით (მიზეზის შინაარსი არ შეიძლება გახდეს პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებაზე უარის თქმის საფუძველი);
- ბ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;
- გ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს/პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა (გარდა უნივერსიტეტის გაცვლით პროგრამაში მონაწილეობისა);
- დ) პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევა;

დ<sup>1</sup>) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება ბსუ-სა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობის შესრულებისგან გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეწყვეტის გარეშე.

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევა (სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა ან აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა ან სხვა), რაც გამორიცხავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესში მონაწილეობას და პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მოთხოვნით პროფესიულმა სტუდენტმა უნდა მიმართოს განცხადებით რექტორს.

სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების (დუალური პროგრამის) შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შესაბამის პერიოდში სტატუსის აღდგენის შესაძლებლობა უნდა შეთანხმდეს შესაბამის სასწავლო საწარმოსთან.

ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების ძალადაკარგულად ცნობისა (პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის) და სტუდენტის სასწავლო პროცესში დაბრუნების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცემა იმ გარემოებათა აღმოფხვრის შემდგომ, რაც საფუძვლად დაედო სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანების გამოცემას.

### **პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა**

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დასრულება (პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება);

გ) შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიუღწევლობა;

დ) სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა;

დე<sup>1</sup>) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 3 წლიანი ვადის გასვლა;

ე) გარდაცვალება;

ვ) შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაწყებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში გამოუცხადებლობა და გამოუცხადებლობის მიზეზის შესახებ წერილობითი ინფორმაციის უნივერსიტეტისათვის წარმოუდგენლობა;

ვ<sup>1</sup>) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტად განიხილება დაწესებულებისა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის უფლების გარეშე;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით ან/და პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევა.

ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ - „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის შემთხვევაში, ცენტრის დერექტორის წარდგინების საფუძველზე გამოიცემა პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება, რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის ხელახლა მოპოვება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.



## VI თავი

### მობილობა

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს მობილობით, რაც გულისხმობს პროფესიული სტუდენტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში (გარე მობილობა) და მის ფარგლებში ერთი პროფესიული ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა პროფესიულ ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე (შიდა მობილობა) გადასვლის პროცედურას.

ბსუ-ს მობილობის უფლება პროფესიულ სტუდენტს წარმოეშობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემთხვევაში, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ ერთი და იმავე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამის ფარგლებში.

მობილობა ცხადდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში, ცენტრის დირექტორის წარდგინების საფუძველზე.

მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვების მიზნით პროფესიული სტუდენტი, ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს ბსუ-ს რექტორს.

კრედიტების აღიარებისათვის მობილობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობა სტუდენტის სტატუსისა და მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შესახებ (გავლილი სასწავლო კურსების/მოდულების დამოწმებული სია).

პროფესიული სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარება ბსუ-ში ხორციელდება ცენტრის ადმინისტრირებით, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ. კომისიის გადაწყვეტილებაში მიეთითება მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღებ პროგრამასთან, ასევე აღიარებული სწავლის შედეგები და კრედიტების რაოდენობა. საჭიროების შემთხვევაში კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, ცენტრი ვალდებულია პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით შეადგინოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

პირი, რომელიც მოიპოვებს მობილობით ბსუ-ში ჩარიცხვის უფლებას, ვალდებულია წარმოადგინოს ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული დოკუმენტაცია (მისი პირადი საქმისა და საგანმანათლებლო დოკუმენტების ასლები) და გააფორმოს ხელშეკრულება.

მობილობის მსურველთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ გამოიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანება მობილობის საფუძველზე ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო ან მოკლე ციკლის პროგრამაზე ამ პირის ჩარიცხვის შესახებ და ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით აისახება სისტემაში.

უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კვალიფიკაციის ან უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება ხდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ დადგენილი წესით.

ბსუ-ს მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების დაკარგვის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტები მიიჩნევიან სტატუსშეჩერებულ პირებად და მათზე ვრცელდება წინამდებარე წესით დადგენილი პირობები.

## VII თავი

### კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომის გაცემა

პროფესიული სტუდენტისათვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველია ბსუ-ს რექტორის ბრძანებით შექმნილი საკვალიფიკაციო კომისიის მიერ სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება და დადასტურება.

**სწავლის შედეგი** არის განაცხადი პირის მიერ მისაღწევი „ცოდნისა და გაცნობიერების“ (სწავლის ან საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის, ფაქტების, პრინციპების, თეორიების, თეორიული და პრაქტიკული მეთოდების ასიმილაციის შედეგი), „უნარის“ (კონკრეტული დავალების შესრულებისა და პრობლემების გადაჭრისათვის შესაბამისი ცოდნის გამოყენების შესაძლებლობა) ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ (ღირებულებებითა და დამოუკიდებლობის შესაბამისი ხარისხით პირის მიერ ცოდნისა და უნარების გამოყენება) შესახებ.

საკვალიფიკაციო კომისია შეისწავლის სტუდენტის პირად საქმეს, მის შეფასებებს, უფლებამოსილია პროგრამის ხელმძღვანელისგან ან პროფესიული მასწავლებლისგან მოითხოვოს დამატებითი დახასიათება, რეკომენდაცია ან დანიშნოს გასაუბრება პროფესიულ სტუდენტთან.

საკვალიფიკაციო კომისია იხილავს იმ სტუდენტის კვალიფიკაციის მინიჭების საკითხს, რომელმაც სრულად აითვისა ან აღიარებული აქვს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები.

საკვალიფიკაციო კომისია იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების ან კვალიფიკაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

საკვალიფიკაციო კომისიის ოქმისა და პროფესიული დიპლომის გაცემის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე მზადდება და გაიცემა დიპლომი.

## VIII თავი

### პროფესიული სტუდენტის უფლებები და მოვალეობები

ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის უფლებები განსაზღვრულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, ბსუ-ს წესდებით, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესით“, პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებით.

ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტების მიხედვით:

#### პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება;

ბ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს შეფასების შედეგი;

გ) მიიღოს ინფორმაცია (კონსულტაცია) უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო კურსების (მოდულების), შეფასების მეთოდოლოგიის, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა საკითხზე;

დ) ისარგებლოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსებით;

ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით;

ვ) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზედაც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით;

ზ) საკუთარი ინტერესების შესაბამისად თავისუფლად დააფუძნოს პროფესიული და სხვა სტუდენტური ორგანიზაციები ან/და გაერთიანდეს მათში;

თ) სასამართლოში გაასაჩივროს ბსუ-ს მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება;

ი) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით, პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს საკანონმდებლო აქტებით, ბსუ-ს წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსითა და სხვა სამართლებრივი აქტებით მინიჭებული უფლებებით.

#### **პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:**

ა) შეასრულოს ბსუ-ს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები;

ბ) დაიცვას პროფესიულ სტუდენტსა და ბსუ-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობები, ბსუ-ს წესდების, შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნები.

### **IX თავი**

#### **პროფესიული სტუდენტის წახალისება და დისციპლინური საქმისწარმოება**

ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის წახალისებისა და დისციპლინური საქმისწარმოების რეგულაცია განსაზღვრულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, „ბსუ-ს შინაგანაწესით“ და ბსუ-ს ეთიკის კოდექსით.

#### **1. წახალისების პროცედურა განსაზღვრულია ბსუ-ს შინაგანაწესით, რომლის თანახმად:**

სწავლასა და სამეცნიერო კვლევებში მიღწეული წარმატებისა და უნივერსიტეტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის სტუდენტის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს წახალისების შემდეგი სახეები:

ა) მაღლობის გამოცხადება (გამოცემა ფაკულტეტების დეკანების ან/და უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება).

ბ) ფულადი ჯილდოს ან/და ფასიანი საჩუქრის გადაცემა (ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით და წარმომადგენლობითი საბჭოს თანხმობით ბრძანებას გამოსცემს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანის ან სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის და სამსახურის ან სტუდენტთა თვითმმართველობის წერილობითი მომართვის საფუძველზე);

გ) ადრე შეფარდებული დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა (გამოიცემა უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით);

დ) ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში და სემინარებში მონაწილეობის სრული ან ნაწილობრივი ფინანსური უზრუნველყოფა;

**2. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების განხორციელების წესი დადგენილია ბსუ-ს შინაგანაწესით.** დისციპლინური წარმოების საკითხს იხილავს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო. სტუდენტს უფლება აქვს, დაესწროს თავისი საქმის განხილვას.

**3. დისციპლინური წარმოების განხორციელებისას სტუდენტს უფლება აქვს:**

ა) წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ;

ბ) დაესწროს დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით;

გ) მიაწოდოს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს (ფაკულტეტის დეკანს) თავის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;

დ) მონაწილეობა მიიღოს ბსუ-ს შესაბამისი კომისიის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;

ე) მოითხოვოს, მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხი განხილულ იქნეს საჯარო სხდომაზე.

სტუდენტს უფლება აქვს, სასამართლოში გაასაჩივროს მის მიმართ მიღებული ბსუ-ს გადაწყვეტილება.

## X თავი

### უნივერსიტეტში ქცევის წესი და სტუდენტის ეთიკის კოდექსი

სტუდენტის მხრიდან სასწავლო პროცესში გამოვლენილ არაკეთილსინდისიერების ფაქტებზე და უნივერსიტეტში დადგენილი ქცევის წესების დარღვევაზე რეაგირების მექანიზმები განსაზღვრულია „ბსუ-ს შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 9 სექტემბრის N02 გადაწყვეტილებით **(დანართი 6)**, „ბსუ-ს ეთიკის კოდექსის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N02 გადაწყვეტილებით **(დანართი 7)**, „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილებით **(დანართი 2)**, „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილებითა **(დანართი 20)** „ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესით შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 ივლისის N01-01/71 დადგენილებით **(დანართი 27)**.

სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტში დაიცვას წინამდებარე ეთიკის კოდექსითა და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესის შესაბამისად დადგენილი აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული წესები.

**სტუდენტის მხრიდან ეთიკის საერთო წესების დარღვევად მიიჩნევა:**

- ა) სააუდიტორიო მეცადინეობაზე ან/და სხვა სახის საუნივერსიტეტო ღონისძიებაზე დაგვიანება;
- ბ) სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის ხელშეშლა (ლექციაზე ხმაური, მობილური ტელეფონით სარგებლობა, დერეფანში აურზაური და სხვა);
- გ) მოწვევა უნივერსიტეტის შენობაში;
- დ) უნივერსიტეტში ცეცხლსასროლი ან/და ცივი იარაღის შემოტანა ან/და გავრცელება, ალკოჰოლური სასმელის, ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული საშუალებების შემოტანა, გავრცელება ან/და მოხმარება;
- ე) აზარტული თამაშები;
- ვ) ისეთი ფეთქებადი და აალებადი ნივთებისა და ნივთიერებების შემოტანა ან/და გავრცელება, რომელიც ხანძრის ან/და აფეთქების რეალურ საფრთხეს ქმნის;
- ზ) ბილწისტიყვაობა ან ძალადობა, სიტყვიერი ან/და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება სტუდენტების ან/და პერსონალისათვის;
- თ) ინვენტარით სარგებლობის წესების დარღვევა (ინვენტარზე წარწერის გაკეთება, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის დაზიანება);
- ი) უნივერსიტეტის ტერიტორიის დანაგვიანება, შენობის იერ-სახის დამახინჯება, ნარგავების დაზიანება;
- კ) იმ პირის მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობა, ვისაც უფლება აქვს აღძრას დისციპლინური ღონისძიების გამოყენების საკითხი.

**აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული ეთიკის წესების დარღვევად მიიჩნევა:**

- ა) სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან გადაწერა, ან ისეთი დამხმარე მასალის გამოყენება, რაც პროფესორ-მასწავლებლის მიერ წინასწარ არ არის ნებადართული;
- ბ) სხვა პირის ნამუშევრის თავისად წარმოჩენა;
- გ) სასწავლო პროცესისათვის/სტუდენტებისათვის ხელის შეშლა სწავლასა და კვლევის პროცესში საჭირო რესურსების დამალვით, მოპარვით, ან განადგურებით;
- დ) სხვა სტუდენტისათვის აკადემიური სიყალბის ჩადენაში დახმარება;
- ე) კვლევითი სამუშაოების ინფორმაციის გაყალბება;
- ვ) ინდივიდუალური დავალების ჯგუფურად მომზადება, ან ერთი პირის მიერ მომზადებული დავალების ჯგუფურ ნამუშევრად წარმოჩენა;
- ზ) პლაგიატი ( ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 ივლისის N01-01/71 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესით“ გათვალისწინებული დარღვევები);
- თ) სხვა სტუდენტის ნაცვლად გამოცდის ჩაბარება, ან სხვისი შეგზავნა გამოცდის ჩასაბარებლად;
- ი) გამოცდის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება, გავრცელება ან/და გამოყენება;
- კ) სხვა სტუდენტის ნამუშევრის მოპარვა, განადგურება ან/და შეცვლა;
- ლ) საუნივერსიტეტო მონაცემების გაყალბება;
- მ) გამომცდელზე ზეწოლით შეფასების მიღების მცდელობა.

უნივერსიტეტის სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტა, როგორც დისციპლინური სახდელი შეეფარდება სტუდენტს/მსმენელს შემდეგი ეთიკური გადაცდომის შემთხვევებში:

ა) დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ ან/და ნებართვის გარეშე გამოიყენებს (ხელყოფს) უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს (გაფრთხილების მიუხედავად განაგრძობს უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის ან სხვა ფართის სარგებლობას ან/და იმ კომპიუტერული ან სხვა ტექნიკის გამოყენებას, რომელიც არ არის განკუთვნილი სტუდენტთა მოხმარებისათვის);

ბ) გამოცდაზე შევა სხვა სტუდენტის ნაცვლად ან ეცდება მის ნაცვლად გამოცდა ჩააბარებინოს სხვა პირს;

გ) ჩაიდენს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 ივლისის N01-01/71 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესით“ გათვალისწინებულ მძიმე (უხეში) კატეგორიის დარღვევას;

დ) გამოიყენებს ან/და სხვას მიაწვდის სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის მომხმარებლის პირად ინფორმაციას (პაროლი და კოდი) ან/და საგნის ლექტორის ნაცვლად აწარმოებს თავის თვის ან სხვა სტუდენტისათვის შეფასებას (აღრიცხავს).

ეთიკის კოდექსის დარღვევაზე რეაგირების მიზნით რექტორის/ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით იქმნება დისციპლინური კომისია, რომელიც საქმიანობას წარმართავს ეთიკის კოდექსითა და უნივერსიტეტის შინაგანაწესით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.

აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესით გათვალისწინებულ დარღვევაზე რეაგირების მიზნით იქმნება ბსუ-ს ეთიკის კომისია, რომელიც საქმიანობას წარმართავს ეთიკის კოდექსით, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 ივლისის N01-01/71 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესით“ და უნივერსიტეტის შინაგანაწესით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.

ბსუ-ს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის პოლიტიკა, მექანიზმები, დარღვევის სახეები, მასზე რეაგირების პროცედურა და სანქციები განისაზღვრება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 ივლისის N01-01/71 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესით“.

სტუდენტის ქცევის წესები ბსუ-ს საგამოცდო პროცესში განისაზღვრება „გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 თებერვლის N23 დადგენილებით (**დანართი N19**), კერძოდ, სტუდენტი ვალდებულია:

ა) გამოცდების განრიგით დადგენილ დროს გამოცხადდეს გამოცდის ჩატარების ადგილზე. დაგვიანების შემთხვევაში (საგამოცდო მასალის დარიგების, კომპიუტერთან გამოცდის დაწყების შემდეგ) იგი გამოცდაზე არ დაიშვება;

ბ) გამოცდაზე დასაშვებად იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (ან პასპორტი), რომელიც უნდა მოათავსოს სამუშაო მაგიდის კუთხეში;

გ) ზედმეტი ნივთები, გარდა საწერი კალმის, სასმელი წყლისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელი ნივთებისა, გამოცდის დასრულებამდე ჩააბაროს უფლებამოსილ პირს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მოიხსნება გამოცდიდან.

დ) შეამოწმოს მისი საგამოცდო ფურცლის ხარვეზიანობა, დაზიანების არსებობის შემთხვევაში მიმართოს დამკვირვებელს. საგამოცდო დროის ათვლის შემდეგ ასეთი პრეტენზია არ მიიღება.

ე) საგამოცდო ფურცელზე ამისათვის განკუთვნილ ადგილზე დააწეროს სახელი, გვარი, ფაკულტეტი, საგნის დასახელება და ლექტორის სახელი და გვარი;

ვ) არ გადაშალოს საგამოცდო ბილეთი, სანამ არ დაიწყება საგამოცდო დროის ათვლა;

ზ) საგამოცდო ნაშრომი შეასრულოს ლურჯი ფერის პასტით (აკრძალულია მაიდენტიფიცირებელი ნიშნის ან რაიმე სახის მინიშნების შესრულება).

თ) სამუშაოს დასრულების შემდეგ საგამოცდო ბილეთი და ფურცლები გადასცეს დამკვირვებელს/ლექტორს, კომპიუტერთან მიმდინარე გამოცდის შემთხვევაში დასრულების შესახებ აცნობოს დამკვირვებელს და ისე დატოვოს საგამოცდო ცენტრი;

გამოცდაზე დავალების შესრულების დაწყება შეიძლება საგამოცდო მასალის დარიგების, კომპიუტერში შესაბამისი მასალის ჩატვირთვისა და საგამოცდო დროის ათვლის შემდეგ. დარღვევის შემთხვევაში სტუდენტი მიიღებს გაფრთხილებას, განმეორების შემთხვევაში კი მოიხსნება გამოცდიდან.

### **გამოცდის პროცესის დროს ასევე აკრძალულია:**

ა) მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული ხელსაწყო, ასევე საგამოცდო თემატიკის მატარებელი ინფორმაციის შემცველი ნივთის გამოცდაზე შეტანა (მოიხსნება გამოცდიდან);

ბ) სტუდენტებს შორის საუბარი, ერთმანეთთან გადალაპარაკება (მიიღებს ჯერ გაფრთხილებას, მსგავსი ან სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნება გამოცდიდან);

დ) მობილური ტელეფონის ან სხვა რაიმე ელექტრონული მოწყობილობის გამოყენება კალკულატორის ნაცვლად (მოიხსნება გამოცდიდან);

ე) გადაწერა, ე.წ. „შპარგალკის“ გამოყენება. „შპარგალკად“ შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი სახის მატარებელზე (ქაღალდი, ელექტრონული (მობილური ტელეფონი და სხვ.) და ა.შ.) დაწერილი თუ ჩაწერილი საგამოცდო საკითხთან დაკავშირებული ინფორმაცია, აგრეთვე ნებისმიერი სახის ფურცელი, თუ იგი არ არის გაცემული საგამოცდო დავალებასთან ერთად, ან არ აქვს დამკვირვებლის ხელმოწერა (მოიხსნება გამოცდიდან).

ვ) კალკულატორის ან/და კოდექსის გადაცემა სხვა სტუდენტისათვის. ეს ჩაითვლება გადაწერის მცდელობად და ორივე გამოსაცდელი გაფრთხილების შემდეგ განმეორების შემთხვევაში მოიხსნება გამოცდიდან;

ზ) საგნის ლექტორისათვის/დამკვირვებლისათვის, საგამოცდო დავალების შინაარსთან დაკავშირებული კითხვების დასმა. დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა გაფრთხილება, განმეორებისას კი მოიხსნება გამოცდიდან;

გამოცდიდან მოხსნის საფუძველი შეიძლება გახდეს სტუდენტის მიერ დისციპლინის სხვაგვარი დარღვევა (ხმამაღალი და ხელისშემშლელი საუბარი, სხვა პირისაგან დახმარების მიღება, საგამოცდო მასალის განზრახ დაზიანება, კარნახი, ნებართვის გარეშე აუდიტორიაში მოძრაობა, ქცევით გამოცდის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა ან სხვა).

სტუდენტი ვალდებულია დაემორჩილოს საგნის ლექტორის/დამკვირვებლის გადაწყვეტილებას, მათ შორის, გამოცდიდან მისი მოხსნისა და შეფასების გაუქმების შესახებ.

გამოცდის ჩატარების ინსტრუქციით დადგენილი წესის დარღვევის შემთხვევაში სტუდენტი მოიხსნება გამოცდიდან და გაუფორმდება შეფასება - „0“.

ბსუ-ს საგამოცდო ცენტრში და იმ აუდიტორიებში, სადაც საგამოცდო პროცესი მიმდინარეობს, დამონტაჟებულია ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა. საგამოცდო პროცესის

მონიტორინგის პროცესში აქტიურად არის ჩართული უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები და დარგობრივი დეპარტამენტები.

## XI თავი

### პლაგიატზე რეაგირების მექანიზმები

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (დანართი 2) მე-2 მუხლის (ტერმინთა განმარტება) „პ“ ქვეპუნქტის თანახმად, პლაგიატი განმარტებულია, როგორც აკადემიური არაკეთილსინდისიერება, რომლის ფორმები განისაზღვრება უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით.

„ბსუ-ს ეთიკის კოდექსის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N02 გადაწყვეტილებით (დანართი 7) ბსუ-ს სასწავლო პროცესის განმახორციელებელი პერსონალის ერთ-ერთი ვალდებულება გამოავლინოს აკადემიური არაკეთილსინდისიერების (სიყალბის/პლაგიატის) შემთხვევა (არსებობის შემთხვევაში), კომპეტენციის ფარგლებში გამოიკვლიოს გამომწვევი მიზეზი და მიიღოს შესაბამისი ზომები მსგავსი ქმედების აღსაკვეთად.

ბსუ-ს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის პოლიტიკა, მექანიზმები, დარღვევის სახეები, მასზე რეაგირების პროცედურა და სანქციები განისაზღვრება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 ივლისის N01-01/71 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესით“ (დანართი 27).

აკადემიური არაკეთილსინდისიერების ფაქტების გამოვლენა ბსუ-ში შესაძლებელია როგორც მატერიალური სახით წარმოდგენილი მასალის დამუშავებით, ასევე ელექტრონულად, ანტიპლაგის პროგრამის მეშვეობით.

ანტიპლაგიატის პროგრამა არის აკადემიური არაკეთილსინდისიერების/პლაგიატის გამოვლენის (დეტექტირების) ელექტრონული სისტემა, რომელიც ინტეგრირებულია ელექტრონული სწავლების Moodle-ის პლატფორმაზე.

ბსუ-ს საუნივერსიტეტო საქმიანობაში (სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში) აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევად განიხილება (შემდეგში „პლაგიატის სახეები“):

ა) პირდაპირი პლაგიატი - სხვისი ინტელექტუალური შრომის შედეგის ტექსტის, იდეის, კონცეფციის, ვიზუალური ან აუდიო მასალის, ნებისმიერი სახის მონაცემების გამოყენება და გავრცელება ავტორის მითითების გარეშე;

ბ) პერიფრაზირებული პლაგიატი - სხვისი აზრის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა, ავტორის სიტყვების უმნიშვნელოდ ან მნიშვნელოვანწილად ცვლილება ავტორის მითითების გარეშე (პერიფრაზისას ზუსტად უნდა ჩანდეს, ვის იდეას ეხმაურება ავტორი და როდის);

გ) მოზაიკური პლაგიატი - სხვადასხვა წყაროდან აღებული მოსაზრებების იმგვარი გაერთიანება, როდესაც ცალკეული ავტორი მითითებული არ არის;

დ) პლაგიატი დაუდევრობით - არასწორი ციტირება დაუდევრობით; ავტორების ან წყაროების მითითებისას გარკვეული სახის ინფორმაციის გამორჩენა ან არევა;

ე) საავტორო უფლებების დარღვევა - სხვისი ნამუშევრის გამოყენება საავტორო უფლებების მოპოვების გარეშე;

ვ) თვითპლაგიატი - საკუთარი ნაშრომის სრულად ან ნაწილობრივ არაერთხელ წარდგენა/გამოქვეყნება ციტირების ან შესაბამისი მითითების გარეშე (მაგალითად: სხვადასხვა პუბლიკაციებში ერთი და იგივე თავების გამეორება შესაბამისი მითითების



გარეშე; სტუდენტების მიერ ერთი და იგივე ნაშრომის წარდგენა სხვადასხვა მიზნებისთვის (სხვადასხვა კურსის, სხვადასხვა პროგრამის, პროექტის, კონკურსის ფარგლებში);

**ზ) ფაბრიკაცია/ფალსიფიკაცია** - ნაშრომში მონაცემების ცვლილება, მონაცემებით მანიპულირება, მიღებული შედეგების შერჩევითად გამოყენება, წყაროების, შედეგების ან მეთოდოლოგიის, გრაფიკებისა და გამოსახულებების ჩათვლით, შესაბამისი აღნიშვნის გარეშე, რაც იწვევს შედეგებისა და დასკვნების არასწორ ინტერპრეტაციას;

**თ) გამოუქვეყნებელი მასალის (ნაშრომი, სალექციო კურსი და სხვა) გამოყენება** ავტორის/წყაროს მითითების გარეშე;

**ი) სამეცნიერო შედეგების განადგურება** - საკუთარი ან სხვის მიერ მიღებული მონაცემების ან ჩანაწერების განადგურება დამფინანსებლის ხელშეკრულების, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების, შიგა რეგულაციების და პროფესიული ან დისციპლინური სტანდარტების დარღვევის გამოვლინების თავიდან ასაცილებლად.

აკადემიური არაკეთილსინდისიერების ფაქტები - პლაგიატის სახეები, მათი სიმძიმის თვალსაზრისით, შესაძლებელია შეფასდეს დარღვევის შემდეგ კატეგორიულად:

- ა) ნაკლებად მძიმე (მსუბუქი) დარღვევა;
- ბ) საშუალო სიმძიმის დარღვევა;
- გ) მძიმე (უხეში) დარღვევა.

**1. ნაკლებად მძიმე (მსუბუქ) დარღვევად** განიხილება წინამდებარე წესის მიხედვით განმარტებული:

- ა) პლაგიატი დაუდევრობით;
- ბ) პერიფრაზირებული პლაგიატი (უმნიშვნელოდ);
- გ) თვითპლაგიატი (ნაწილობრივ).

**2. საშუალო სიმძიმის დარღვევად** განიხილება წინამდებარე წესის მიხედვით განმარტებული:

- ა) პერიფრაზირებული პლაგიატი (მნიშვნელოვანწილად);
- ბ) თვითპლაგიატი (სრულად);
- გ) გამოუქვეყნებელი მასალის გამოყენება;

დ) წინამდებარე მუხლში მითითებული ნაკლებად მძიმე დარღვევის გამოსწორების თაობაზე ბსუ-ს უფლებამოსილი პირის მიერ მითითების, დამრღვევი პირის მიერ დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა;

ე) წინამდებარე მუხლში მითითებული ნაკლებად მძიმე დარღვევის გამეორება დარღვევის ჩადენიდან 1 წლის ფარგლებში.

**3. მძიმე (უხეშ) დარღვევად** განიხილება წინამდებარე წესის მიხედვით განმარტებული:

- ა) პირდაპირი პლაგიატი;
- ბ) ფაბრიკაცია/ფალსიფიკაცია;
- გ) მოზაიკური პლაგიატი;
- დ) სამეცნიერო შედეგების განადგურება;
- ე) საავტორო უფლებების დარღვევა;

ვ) წინამდებარე მუხლში მითითებული საშუალო სიმძიმის დარღვევის ჩადენიდან 2 წლის ფარგლებში ნაკლებად მძიმე სიმძიმის დარღვევის ან 1 წლის ფარგლებში საშუალო სიმძიმის დარღვევის განმეორებით ჩადენა.

დარღვევის კატეგორიის განსაზღვრის შემთხვევაში სტუდენტის მიმართ უნდა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები (სანქციები):

- ნაკლებად მძიმე (მსუბუქი) დარღვევის შემთხვევაში:

ა) უფლებამოსილი პირის (საგნის ლექტორი, პროგრამის ხელმძღვანელი, სამეცნიერო ხელმძღვანელი ან სხვა) მიერ დამრღვევს განემარტება დარღვევის არსი და მიეთითება დარღვევის გამოსწორების შესახებ (ამავდროულად უნდა განესაზღვროს ვადა გამოსწორებისათვის);

ბ) ნაშრომი არ შეფასდება მანამ, სანამ არ შესრულდება უფლებამოსილი პირის მითითება ხარვეზის გამოსწორების შესახებ, ხოლო თუკი განსაზღვრული ვადა გავიდა და სტუდენტმა არ წარმოადგინა რედაქტირებული, უხარვეზო ნაშრომი, სტუდენტი შეფასდება „0“ ქულით (არ შეფასდება ნაშრომი/არ დაიწერება დასკვნა) და შემფასებლის მიერ ეცნობება შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციას;

- **საშუალო სიმძიმის დარღვევის შემთხვევაში** უფლებამოსილი პირის (საგნის ლექტორი/პროგრამის ხელმძღვანელი ან სხვა) მიერ დამრღვევი შეფასდება „0“ ქულით (არ შეფასდება ნაშრომი/არ დაიწერება დასკვნა), განემარტება დარღვევის არსი და ამავდროულად ეცნობება ფაკულტეტის დეკანს, რომელიც გამოსცემს ბრძანებას დისციპლინური საქმისწარმოების დაწყებისა და ეთიკის კომისიის შექმნის თაობაზე. კომისიის დასკვნის საფუძველზე სტუდენტს შესაძლებელია შეეფარდოს დისციპლინური სახდელი - შენიშვნა ან გაფრთხილება.

- **მძიმე (უხეში) დარღვევის შემთხვევაში** უფლებამოსილი პირის (საგნის ლექტორი/პროგრამის ხელმძღვანელი ან სხვა) მიერ დამრღვევი შეფასდება „0“ ქულით (არ შეფასდება ნაშრომი/არ დაიწერება დასკვნა), განემარტება დარღვევის არსი და ამავდროულად ეცნობება ფაკულტეტის დეკანს, რომელიც გამოსცემს ბრძანებას დისციპლინური საქმისწარმოების დაწყებისა და ეთიკის კომისიის შექმნის თაობაზე. კომისიის დასკვნის საფუძველზე სტუდენტს შესაძლებელია შეეფარდოს დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება, ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით, ხოლო სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა - მხოლოდ ბსუ-ს რექტორის ბრძანებით.

დარგობრივ დეპარტამენტში **საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის** წინასწარ განხილვაზე (აპრობაციაზე) დაშვების მიზნით, სტუდენტი ვალდებულია შესაბამის სემესტრში, Moodle-ის პლატფორმაზე ატვირთოს ნაშრომი, რომელიც შემოწმდება როგორც ანტიპლაგის პროგრამით;

**საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომში** საშუალო სიმძიმის პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში, ხელმძღვანელი იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტისათვის ნაშრომის კორექტირების მიზნით დაბრუნების, აპრობაციაზე დაშვების ან დაუშვებლობის შესახებ, რასაც ასახავს დასკვნაში და წარუდგენს შესაბამის დარგობრივ დეპარტამენტს. სტუდენტი ვალდებულია გადამუშავებული საბაკალავრო ნაშრომი (ასეთი უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში) განმეორებით ატვირთოს Moodle-ის პლატფორმაზე. პირველადი წარდგენის შემთხვევაში ნაშრომში უხეში პლაგიატის ან განმეორებით წარდგენის შემთხვევაში საშუალო სიმძიმის პლაგიატის აღმოჩენის ან ხელმძღვანელის მიერ სტუდენტის აპრობაციაზე დაუშვებლობის შემთხვევაში, ნაშრომი ფასდება „0“ ქულით (F – ჩაიჭრა).“

**სადოქტორო ნაშრომში** პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში, აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის კატეგორიებიდან გამომდინარე, ხელმძღვანელი იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტისთვის ნაშრომის კორექტირების მიზნით დაბრუნების, აპრობაციაზე დაშვების ან არდაშვების შესახებ, რასაც ასახავს დასკვნაში და წარუდგენს შესაბამის დარგობრივ დეპარტამენტს.

ბსუ-ს სტუდენტის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების სავარაუდო დარღვევის შესახებ განცხადება ან სამსახურებრივი ბარათი წარედგინება ბსუ-ს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს.

აკადემიური ეთიკის დარღვევის შემთხვევაში რექტორის/დეკანის ბრძანებით იქმნება აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისია (შემდგომი „ეთიკის კომისია“), არანაკლებ 3

წევრის შემადგენლობით, რომელიც საქმიანობას წარმართავს ბსუ-ს ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესითა და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად. კომისიის დაკომპლექტებისას დაუშვებელია ინტერესთა კონფლიქტი.

კომისიის დასკვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში, უფლებამოსილი პირი (რექტორი ან ფაკულტეტის დეკანი, იმის მიხედვით, თუ ვინ არის დამრღვევი ან რა სიმძიმის დარღვევაა) იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას აკადემიური ეთიკის დარღვევის გამო დამრღვევისათვის დისციპლინური სახდელის შეფარდების თაობაზე ან აკადემიური ეთიკის დარღვევის არარსებობის გამო დისციპლინური საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ.

აკადემიური ეთიკის დარღვევის გამო დამრღვევისათვის დისციპლინური სახდელის შეფარდების თაობაზე ბრძანების გამოცემის შემთხვევაში უფლებამოსილი პირი წარდგინებით მიმართავს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს/სადისერტაციო საბჭოს, სტუდენტისათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების გადახედვის მოთხოვნით (თუკი უკვე მინიჭებულია) ან აკადემიური ხარისხის მინიჭების გადაწყვეტილების მიღების დროს საბჭოს მიერ გასათვალისწინებლად (თუკი ჯერ მიღებული არ არის).

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების“ მე-17 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, დოქტორანტის მხრიდან პლაგიატის შემთხვევაში, ეთიკის კოდექსისა და შინაგანაწესით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელების შედეგად შესაბამისი სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით გაბათილდება დოქტორანტისათვის დოქტორის ხარისხის მინიჭების გადაწყვეტილება.

## XII თავი

### **სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, კარიერული განვითარება და სხვა სტუდენტური სერვისები**

ბსუ-ს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, სტუდენტური პროექტების განხორციელების, მათი კარიერული განვითარების ხელშეწყობასა და მომსახურებას უზრუნველყოფს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახური.

#### **ამ სამსახურის ფუნქციებია:**

- ა) უნივერსიტეტის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე საკონსულტაციო მომსახურება;
- ბ) საუნივერსიტეტო აქტივობების განხორციელებისათვის სტუდენტთა მხარდაჭერა, ამ მიზნით სხვადასხვა სოციალური პროექტების მომზადება და განხორციელებისათვის ხელშეწყობა;
- გ) უნივერსიტეტის სასწავლო, სამეცნიერო, კულტურული, სპორტული საქმიანობის პოპულარიზაცია, ორგანიზება და განხორციელებისათვის ხელშეწყობა (საუნივერსიტეტო ინტელექტუალური/სამეცნიერო/შემეცნებითი ხასიათის და საქველმოქმედო სახის შემოქმედებითი სტუდენტური ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;

- დ) საუნივერსიტეტო სპორტული გუნდების, მუსიკალური ანსამბლებისა და შემოქმედებითი ჯგუფების შექმნის შესახებ სტუდენტთა ინიციატივების წარმოდგენა, მათი რეალიზაციისათვის ხელშეწყობა და საქმიანობის კოორდინაცია;
- ე) საუნივერსიტეტო სპორტის განვითარება, სპორტის პოპულარიზაცია, სპორტული ღონისძიებების/უნივერსიადების ორგანიზება, ნიჭიერი სტუდენტების გამოვლენა, უნივერსიტეტის სახელით რეგიონალურ და რესპუბლიკურ უნივერსიადებში და სტუდენტურ დღეებში მათი მონაწილეობის ხელშეწყობა;
- ვ) უნივერსიტეტის სტუდენტების ჰარმონიული განვითარებისა და სახელოვნებო სივრცეში მათი მოზიდვის ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი შემოქმედებითი კონტაქტების დამყარება და უნივერსიტეტის სტუდენტების შემოქმედებით საქმიანობაში ჩაბმაზე ზრუნვა, მათი ნიჭისა და სურვილის შესაბამისად;
- ზ) საგანმანათლებლო სფეროში მიმდინარე სხვადასხვა კონკურსების, პროექტების და პროგრამების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის გაცნობა;
- თ) სტუდენტების ხელშეწყობა დასაქმებისათვის აუცილებელი ზოგადი უნარ-ჩვევების განვითარებაში, მათი ინფორმირება შრომის ბაზრის დინამიკისა და პერსპექტივებზე, სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, დამსაქმებლებთან მჭიდრო თანამშრომლობა მათი სასწავლო პროცესთან დაახლოებისა და სამომავლოდ, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართულობის უზრუნველსაყოფად;
- ი) სტუდენტების დახმარება საკუთარი განათლებისა და კარიერის სწორად წარმართვაში და დამსაქმებლებთან ურთიერთობაში;
- კ) შრომის ბაზრისა და დასაქმების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან (სახელმწიფო, არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან) თანამშრომლობა და ინფორმაციის გაცვლა სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით;
- ლ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების მხარდაჭერა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში მათი ინტეგრირების მიზნით და შესაბამისი წინადადებების უნივერსიტეტის ადმინისტრაციისათვის წარდგენა;
- მ) სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის ადმინისტრირება;
- ნ) სტუდენტური პორტალის ([www.portal.bsu.edu.ge](http://www.portal.bsu.edu.ge)) ადმინისტრირება და მართვა;
- ო) საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციები;

## სტუდენტური ინიციატივები და პროექტები

სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების წარმოდგენისა და საუნივერსიტეტო გადაწყვეტილების მიღება რეგულირდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის N02 გადაწყვეტილებით (დანართი 17).

პროექტების გამოვლენის, განხილვისა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, რექტორის ინდივიდუალური ბრძანებით მტკიცდება საკონკურსო კომისია, არანაკლებ 5 (ხუთი) წევრის შემადგენლობით, პროექტების განაცხადის და შეფასების ფორმები.

სტუდენტური პროექტი შეიძლება იყოს:

- ა) სამეცნიერო პროექტი - პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებასთან დაკავშირებული კვლევითი სახის პროექტი;
- ბ) საგანმანათლებლო პროექტი - არაფორმალურ განათლებასთან დაკავშირებული შემეცნებითი სახის პროექტი;
- გ) კულტურულ-შემოქმედებითი პროექტი - სახელოვნებო და შემოქმედებითი სახის პროექტი;
- დ) სპორტული პროექტი - ოლიმპიური თამაშობებიდან ნებისმიერი სახეობის პროექტი - სტუდენტებში მასობრივი სპორტის წახალისებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით.

საკონკურსო კომისია საპროექტო განაცხადების განხილვის მიზნით იკრიბება რექტორის ბრძანებით განსაზღვრული ვადების შესაბამისად. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. პროექტთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღება სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

კომისიას ჰყავს თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი, რომელიც ყოველ სხდომაზე ადგენს ოქმს და სხდომის ჩატარებიდან არანაკლებ 3 სამუშაო დღის ვადაში უგზავნის უნივერსიტეტის რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

საკონკურსო კომისია უფლებამოსილია სტუდენტური პროექტის განხილვისას მოიწვიოს ბსუ-ს სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი ან/და შესაბამისი დარგის სპეციალისტი.

სტუდენტური პროექტი უნდა იყოს ბსუ-ს მისიის, სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისი სამეცნიერო, საგანმანათლებლო, კულტურულ- შემოქმედებითი და სპორტული საქმიანობის ხელშემწყობი.

პროექტების დაფინანსების გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინება ბსუ-ს ბიუჯეტში სტუდენტთა თავისუფალი პროექტებისთვის გათვალისწინებული საორიენტაციო ხარჯები შემდეგი პრიორიტეტული თანმიმდევრობით:

- 1) სამეცნიერო პროექტები;
- 2) საგანმანათლებლო პროექტები;
- 3) კულტურულ- შემოქმედებითი პროექტები და
- 4) სპორტული პროექტები.

გამარჯვებული სტუდენტური პროექტების განსახორციელებლად საჭირო (აუცილებელი) ფინანსური და მატერიალური რესურსების ხარჯვაზე და გამოყენებაზე, ბსუ-ს ბიუჯეტის ფარგლებში, საკონკურსო კომისიის წარდგინების საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

ბსუ-ს ადმინისტრაცია უზრუნველყოფს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებების საჯაროობას (გაცნობას დაინტერესებულ პირთათვის).

სტუდენტური პროექტების რეგისტრაცია წარმოებს ელექტრონულად, სტუდენტურ პორტალზე - Portal.bsu.edu.ge-ზე.

**პროექტის რეგისტრაციისთვის პორტალზე უნდა აიტვირთოს შემდეგი სახის დოკუმენტები:**

- ა) საპროექტო განაცხადი;
- ბ) სარეკომენდაციო წერილი (გაწეული რეკომენდაცია უნდა იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირის მიერ და მასში უნდა იყოს ასახული პროექტის მნიშვნელობა შესაბამისი დარგისთვის/მიმართულებისთვის);
- გ) სტუდენტ(ებ)ის ავტობიოგრაფია (CV);
- დ) ცნობა აქტიური სტუდენტის სტატუსის შესახებ;

ე) საინიციატივო ჯგუფის/კლუბის/ ან/და სხვა სახის გაერთიანების სახელით წარმოდგენილი პროექტის შემთხვევაში პასუხისმგებელმა პირმა (შემდგომში ხელმძღვანელმა) აგრეთვე უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია ამ გაერთიანების ძირითადი მიზნების შესახებ და აგრეთვე ამ გაერთიანების მიერ განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სტუდენტურ პორტალზე წარმოდგენილი პროექტების კომისიისათვის წარდგენას უზრუნველყოფს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახური.

წარმოდგენილ სტუდენტურ პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის გადაწყვეტილების მიღების შესახებ ეცნობება პროექტის ხელმძღვანელ/პასუხისმგებელ პირს, მის მითითებული მობილურის ნომერზე ან/და ელექტრონულ ფოსტაზე, კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებიდან მომდევნო 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.

პროექტის ხელმძღვანელი/პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ბსუ-ს საკონკურსო კომისიის ან/და ადმინისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში წარმოადგინოს დამატებითი/დაზუსტებული დოკუმენტაცია ან/და პროექტი, ასევე საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს პროექტის ზეპირი ან/და ვიზუალური პრეზენტაცია.

სტუდენტური პროექტის დასრულების შემდეგ, არაუგვიანეს 15 სამუშაო დღის ვადაში, პროექტის ხელმძღვანელი/პასუხისმგებელი პირი ვალდებულია რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სახელზე ბსუ-ს კანცელარიაში წარმოადგინოს პროგრამული და ფინანსური ანგარიში, როგორც ფიზიკურად, ასევე ელექტრონულად (CD დისკზე ჩაწერილი).

## **ბსუ-ს ანსამბლების (ცეკვის, სიმღერის), შემოქმედებითი ჯგუფების და სპორტული გუნდების შექმნა**

„ბსუ-ს ანსამბლების (ცეკვის, სიმღერის), შემოქმედებითი ჯგუფების და სპორტული გუნდების შექმნისა და მათი საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 13 ივლისის N05 გადაწყვეტილებით (დანართი 18).

ბსუ-ს ანსამბლები (ცეკვის, სიმღერის), შემოქმედებითი ჯგუფები და სპორტულ გუნდები იქმნება (შემადგენლობა მტკიცდება) ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით, ბსუ-ს დამხმარე სტრუქტურული ერთეულის - სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე. სამსახურის უფროსი ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს:

ა) ანსამბლში/ჯგუფში/გუნდში ჩარიცხვის მსურველის განცხადებას და ხელმოწერილ ხელშეკრულებას (არასრულწლოვანი მსურველის შემთხვევაში განცხადებას და ხელშეკრულებას ხელს აწერს ასევე კანონიერი წარმომადგენელი);

ბ) სპორტული გუნდების, მუსიკალური ანსამბლებისა და შემოქმედებითი ჯგუფების საქმიანობის წარმართვის მიზნით შესაბამისი პერსონალის მოწვევისა და მათი ფუნქციების აღწერილობის თაობაზე (ფუტსალის მწვრთნელი, კრივის მწვრთნელი, რაგბის მწვრთნელი, მანსანკანის სცენარისტის მოწვევა და სხვა) წინადადებებს;

გ) სპორტული გუნდების, მუსიკალური ანსამბლებისა და შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით გასამართი ღონისძიებების დაფინანსების საჭიროების თაობაზე წინადადებებს;

სპორტული გუნდების, მუსიკალური ანსამბლებისა და შემოქმედებითი ჯგუფების

საქმიანობის დაფინანსება ხორციელდება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გამოცემული ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე.

### **ბსუ-ს სტუდენტების სხვადასხვა ღონისძიებაში (საგანმანათლებლო, სამეცნიერო, შემოქმედებითი, სპორტული ან კულტურული) მონაწილეობის დაფინანსება**

ბსუ-ს სტუდენტების სხვადასხვა ღონისძიებაში (საგანმანათლებლო, სამეცნიერო, შემოქმედებითი, სპორტული ან კულტურული) მონაწილეობის წახალისების მიზნით ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით (25.04.2017 N5) დაწესებულია თითოეული სტუდენტისათვის ერთჯერადი წამახალისებელი ფულადი ჯილდო ასეთ ღონისძიებაში მონაწილეობისათვის:

- ა) ერთი დღისათვის არაუმეტეს **30** ლარისა - ქალაქგარეთ (ბათუმიდან 30 კმ-ზე მეტ მანძილზე) გასამართი ღონისძიებისათვის;
- ბ) ერთი დღისათვის არაუმეტეს **100** ლარისა - უცხო ქვეყანაში გასამართი ღონისძიებისათვის.

### **ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი**

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2016 წლის 25 თებერვლის N01-11/16 ბრძანებით დამტკიცებულია ბსუ-ს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (წინამდებარე გზამკვლევის დანართი 11). ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკას ბსუ-ს ვებგვერდზე აქვს შესაბამისი ველი.

ბიბლიოთეკა ემსახურება ბსუ-ს სტუდენტებს, პერსონალს, ბსუ-ს სტუმრებს სხვადასხვა დაწესებულებებიდან, ასევე საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის სხვადასხვა უფლებით.

ბსუ-ს საბიბლიოთეკო რესურსებს შეადგენს საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო და კომპიუტერული დარბაზები, წიგნადი ფონდი, საბიბლიოთეკო კოლექციები, ელექტრონული ბიბლიოთეკა (ელექტრონული წიგნები და პერიოდული გამოცემები, აუდიო და ვიდეოჩანაწერები; ელექტრონული სამეცნიერო ბაზები), ბსუ-ს სამკითხველო დარბაზში სათანადო წიგნადი ფონდით სარგებლობის უფლება აქვს საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, ბსუ-ს სტუდენტს, ასევე სტუმარს.

ბსუ-ს ბიბლიოთეკაში აბონემენტით მომსახურებით დაინტერესებულმა პირებმა ბიბლიოთეკის

შესაბამის განყოფილებაში უნდა გაიარონ რეგისტრაცია, რისთვისაც უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

- ა) პირადობის მოწმობა;
- ბ) ბსუ-ში ჩარიცხვის (ან ჩარიცხვის უფლების ქონის) დამადასტურებელი დოკუმენტი/ცნობა სამუშაო ადგილიდან (ხელშეკრულების ვადის მითითებით);
- გ) ერთი ფოტოსურათი ზომით 3X4.

რეგისტრირებულ მომხმარებელს ენიჭება საიდენტიფიკაციო კოდი და იქმნება ბსუ-ს ბიბლიოთეკის მომხმარებლის ბარათი.

მომხმარებელი ვალდებულია რეგისტრაციის დროს მიაწოდოს ბიბლიოთეკას მონაცემები

საცხოვრებელი მისამართის, ტელეფონის ნომრის, ელექტრონული ფოსტის მისამართის შესახებ. რეგისტრაციისას ბიბლიოთეკის მომხმარებელი ვალდებულია გაეცნოს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესს, რასაც ადასტურებს მომხმარებლის ბარათზე ხელმოწერით.

**ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველდღიურად, შემდეგი განრიგით:**

- ა) ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 9 საათიდან 20 საათამდე, შაბათს - 9 საათიდან 17 საათამდე - ყველა სამკითხველო დარბაზი, აბონემენტზე მომსახურება;
  - ბ) კვირას 10 საათიდან 15 საათამდე - მხოლოდ დიდი სამკითხველო დარბაზი (ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N32/ნინოშვილის ქ. N35, მე-3 სართული);
  - გ) ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 9 საათიდან 18 საათამდე - კომპიუტერული დარბაზები (ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N32/ნინოშვილის ქ. N35, N51 და N400 აუდიტორიები);
- ბსუ-ს ბიბლიოთეკაში შემავალი ყველა სხვა ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 9 საათიდან 18 საათამდე, შესვენება – 13 საათიდან 14 საათამდე.

### **ბსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობა**

ბსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობა რეგულირდება დებულებით და ბსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის საარჩევნო დებულებით. თვითმმართველობას ბსუ-ს ვებგვერდზე აქვს შესაბამისი ველი. ბოლოს სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები ბსუ-ში ჩატარდა 2017 წლის ივნისში.

უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა წარმოადგენს უნივერსიტეტის სტუდენტთა უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს - ფაკულტეტებიდან არჩეული სტუდენტური თვითმმართველობის ერთიანობას, რომელიც საქმიანობას წარმართავს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდებისა და შესაბამისი დებულების მიხედვით.

ფაკულტეტის საბჭო შედგება ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრისაგან და ფაკულტეტის სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლებისაგან, რომელთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს საბჭოს შემადგენლობის 1/4 -ზე ნაკლები.

სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება **2 (ორი) წლით**.

ბსუ-ს ფაკულტეტებზე ასარჩევი ფაკულტეტის სტუდენტთა თვითმმართველობის წევრების რაოდენობა არ უნდა იყოს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის 1/3-ზე ნაკლები. ზუსტ რაოდენობას, არჩევნებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე განსაზღვრავს თვითმმართველობის პრეზიდენტი.

ფაკულტეტის სტუდენტთა თვითმმართველობის და ფაკულტეტის საბჭოს წევრი ხდება არჩევნებში მონაწილე საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი.

არჩევნებში მონაწილე კანდიდატები თუკი მოიპოვებენ თანაბარი რაოდენობის ხმებს, ყველა მათგანი გახდება ფაკულტეტის სტუდენტთა თვითმმართველობის წევრი.

სტუდენტს ავტომატურად უწყდება თვითმმართველობის წევრის სტატუსი:

- ა) ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემდეგ (საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვა, პირადი განცხადება და სხვა);
- ბ) თვეზე მეტი ვადით შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის სტატუსის შეჩერებისას ან გაცვლითი პროგრამის ფარგლებში უცხო ქვეყანაში სასწავლებლად წასვლა;
- გ) ბსუ-ს ერთი ფაკულტეტიდან სხვა ფაკულტეტზე გადასვლის (მობილობის) შემთხვევაში.



თვითმმართველობის არჩევნები ცხადდება თვითმმართველობის პრეზიდენტის განკარგულებით, თვითმმართველობის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს 1 (ერთი) თვისა, ასევე შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციის მოთხოვნის საფუძველზე ამ ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობის შევსების საჭიროების შემთხვევაში, ასეთი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვისა.

ფაკულტეტის თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს ბსუ-ს ნებისმიერ სტუდენტს (ამომრჩეველი) ბსუ-ს ბაკალვრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურიდან, გარდა სტატუსშეჩერებული პირებისა. არჩევნებში კანდიდატად შეიძლება დარეგისტრირდეს აქტიური სტატუსის მქონე ბსუ-ს ბაკალვრიატის პირველი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 სემესტრის სტუდენტი ან მაგისტრატურის პირველი, მე-2 სემესტრის ან მე-3 სემესტრის სტუდენტი.

### **პირველადი სამედიცინო დახმარება**

„ბსუ-ს ტერიტორიაზე პირველადი სამედიცინო დახმარების მიღების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2016 წლის 02 დეკემბრის N01-11/79 ბრძანების თანახმად, ბსუ-ში პირველადი სამედიცინო დახმარების მიღების უზრუნველსაყოფად მოქმედებს სამედიცინო დახმარების კაბინეტი, რომელიც განთავსებულია ბსუ-ს იურიდიულ მისამართზე (ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/32), მე-2 კორპუსის (რუსთაველზე მდებარე) პირველ სართულზე, ოთახი N100. კაბინეტს აქვს ბუნებრივი და ხელოვნური განათება, ნიავედება ბუნებრივი წესით და მუდმივად მარაგდება ცივი და ცხელი წყლით. კაბინეტი აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარით (შესაბამისი მედიკამენტებით აღჭურვილი „გადაუდებელი დახმარების ჩანთა“, წნევის აპარატი, თერმომეტრი, გლუკომეტრი - შაქრის საზომი, დეფიბრილატორი).

უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ინსტრუქციით გათვალისწინებული შემთხვევის (მათ შორის უბედური შემთხვევის) დადგომისთანავე ნებისმიერმა პირმა უნდა შეასრულოს შემდეგი მოქმედებები:

- ა) დროულად მიმართოს პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევაზე პასუხისმგებელ პირს ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ ადგილზე ან/და დარეკოს (კომუნიკაციის საშუალებების შესახებ მიეთითება საინფორმაციო დაფებზე და განთავსდება ბსუ-ს ვებგვერდზე);
- ბ) შეატყობინოს ბსუ-ს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს (კომუნიკაციის საშუალებების შესახებ მიეთითება საინფორმაციო დაფებზე და განთავსდება ბსუ-ს ვებგვერდზე);
- გ) არ გადაადგილოს დაზარალებული ექიმის მოსვლამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იქ დარჩენა სახიფათოა;
- დ) აუცილებლობის შემთხვევაში გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო ან/და სახანძრო სამსახური

(დარეკვა 112 -ზე) ან/და სხვა შესაბამისი სამსახური.

სამედიცინო კაბინეტს ემსახურება სამედიცინო განათლების მქონე პირი (შემდეგში „ექიმი- თერაპევტი), რომელიც პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ტერიტორიაზე პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის.

## უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით სარგებლობა

უნივერსიტეტის სტუდენტი/მსმენელი სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის განსახორციელებლად სარგებლობს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით. ბსუ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია ბსუ-ს პერსონალსა და სტუდენტებისათვის:

კომპიუტერული ტექნიკა, რომლებიც ჩართულია ინტერნეტში:

ა) ე.წ. „კომპიუტერულ კლასებში“ - სააუდიტორიო მეცადინეობების პერიოდში (საათებში);

ბ) დერეფნებში და ბიბლიოთეკაში განთავსებულ კომპიუტერებზე - ნებისმიერ დროს;

გ) სამუშაო ოთახებში განთავსებულ ტექნიკაზე - შესაბამის პერსონალს;

უკაბელო ინტერნეტი - ნებისმიერ დროს (არის თავისუფალი, პაროლის გარეშე);

პროექტორები - სააუდიტორიო მეცადინეობების პერიოდში (საათებში), ასევე ნებისმიერ დროს,

საჭიროების შემთხვევაში;

ქსეროქსის აპარატები - ბსუ-ს სამუშაო საათებში.

## უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელი

საერთო საცხოვრებელი არის ბსუ-ს კანონიერ სარგებლობაში არსებული ფართის ის ნაწილი, რომლის სარგებლობის ადმინისტრირება ხორციელდება ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის 25 ივლისის N01-10/95 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად. აღნიშნული წესი განსაზღვრავს სარგებლობის პირობებს და ადმინისტრირების ღონისძიებებს.

საერთო საცხოვრებელით შეიძლება შესაბამისი საფასურის გადახდის სანაცვლოდ ისარგებლოს (სასყიდლიანი სარგებლობა) :

ა) ბსუ-ს სტუდენტმა;

ბ) ბსუ-ს მსმენელმა

(ტრენინგის/კურსის);

ბსუ-ს საერთო საცხოვრებელით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად ბსუ-ს სტუდენტი რეგისტრაციას გაივლის ბსუ-ს სტუდენტური პორტალის მეშვეობით.

ბსუ-ს საერთო საცხოვრებელით სარგებლობის საფასური და შეღავათები განსაზღვრულია ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის 25 ივლისის N01-10/97 ბრძანებით.